ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2290372

ნომერი: AR1352477

თარიღი : 29.10.2015

გაცემის თარიღი : 18.11.2015

გაცნობის თარიღი : 18.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 49 / ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ჯაშიტაშვილი პ/ნ 60001043273
- ქუთაისი მ.ბუხაიძის ქ. N 33 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/10/2015 წ.

#AR1352477 განცხადებით მომართეს დავითი ჯაშიტაშვილმა, მარიამ ბოლქვაძემ, თამაზ ბოლქვაძემ, მანანა ბოლქვაძემ, ზურაბ ვასაძემ და შოთა ქუთათელაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ამავე სამსახურის 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებაში ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებით ქ. თბილისში, გამზირი ჭავჭავაძე, N49 / ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N49ბ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.07.008.075) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 10 ივნისიდან 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებაში არასწორად აისახა საზაფხულო ფართობისა და საოფისე ფართობის მაჩვენებლები, კერძოდ, საზაფხულო ფართობად 468.2 კვ.მ. –ს ნაცვლად მიეთითა 457.22 კვ.მ. საოფისე ფართობად 352.48 კვ.მ. –ს ნაცვლად მიეთითა 560.65 კვ.მ. დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ საზაფხულო ფართობისა და საოფისე ფართობის ცვლილება ასევე იწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც. კერძოდ, საერთო ფართობი ნაცვლად 4160.5-კვ.მ.–სა უნდა მიეთითოს 3963.31 კვ.მ.
სამსახურმა შეადარა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3963.31 კვ.მ, საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 352.48 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 468.2 კვ.მ.

1. სამსახურის 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;

1. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/06/2015 წ. №1947868 ბრძანებასთან ერთად.

1. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერთად (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.